დღეს
ნომერში
8

● მოქმედი სპორტსმენები—მაყურებელთა შორის... (მე-2 გვ.)

● ₹2-ე წუთი... და ოლიმპიელთა მესამე მაჯჩი (მე-3 გვ.)

● ევროპის ქვეყნებიდან თასის ეფლოგელი მარსხდეგა [მე-4 გვ.]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕ-ЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 112 (2475) ◉ სამშაბათი, 9 ივნისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

დიადი პერსპექტივები

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მეორე სრულიად საკავშირო კონფერენციაზე დიდი ადგილი დაეთმო ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების ამბებს. ბევრი ილაპარაკეს აბრეთვე წარმოებებსა და დაწესებულებებში საწარმოო ტანვარჯიშის საკითხებზე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ კონფერენციის დელეგატთა შთაბეჭდილებებს, სადაც მოცემულია მათი შეხედულებები სწორედ ზემოთ დასახელებული საკითხების გარშემო.

შრომის ნაყოფიერების ზრდის წყარო

ი. ბოჰორიძე,
„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

კონფერენციაზე ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ ჩვენი სპორტული საზოგადოების ფიზკულტურული მოღვაწეობის ქვაკუთხედი უნდა იყოს საწარმოებში გამაჯანსაღებელი საქმიანობის ამაღლება, რათა ამან ხელი შეუწყოს მშრომელთა შორის შრომის ნაყოფიერების ზრდას. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა რაც შეიძლება მეტი მშრომელი ჩავაბათ ფიზკულტურასა და სპორტში.

ადრე თუ გვისაყვედურებდნენ მასობრიობაში ჩამორჩენის გამო, ახლა, კონფერენციაზე, ჩვენი სპორტული საზოგადოება სამაგალითოდ მოიყვანეს. საკმარისია ითქვას, რომ „განთიადის“ ცენტრალური საბჭო სამი წელია ზედიზედ ინარჩუნებს საკავშირო პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა საბჭოს გარდამავალ დროშას.

ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს მუშაობაში ნაკლი არ გვქონდეს: მაგალითად, 733 კოლექტივიდან 49-მ ვერ შეასრულა თვითვალდებულებანი, ხოლო 10-მა კოლექტივმა არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო. ცუდად გვაქვს საწარმოო ტანვარჯიშის საქმე ქიმიური ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის საწარმოებში. ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი და პირნათლად წარვსდგეთ რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის წინაშე.

ახალი რესპუბლიკური რეკორდები

თბილისში, ავჭალის სასროლეთზე მიმდინარე დინამოელ ტყვიით მსროლელთა შეჯიბრებაზე ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა სპორტის ოსტატმა ა. სტროევმა. მან საბრძოლო ნებისმიერი შაშხანიდან 300 მეტრზე (სტანდარტზე 3×20) სროლაში 600 შესაძლებლიდან მოაგროვა 574 ქულა.

* * *

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამართულ დინამოელ მძლეოსანთა შეჯიბრებისას კონკურსგარეშე მონაწილე სპარტაკელმა ლ. დარახველიძემ სამხტომში ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა. მისი შედეგი 15,96 მ 4 სანტიმეტრით აღემატება ვ. ჩხეიძის ძველ მიღწევას.

გეზი დაისახა

ნონა გაფრინდაშვილი,
მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის

ყველას, ვინც ესწრებოდა საკავშირო სპორტკავშირის ამას წინათ მოსკოვში გამართულ მეორე კონფერენციას, არასოდეს დავიწყდება ეს დიდი და საინტერესო შეკრება. მრავალ საკითხთა შორის, რომლებიც კონფერენციის მსჯელობის საგანი გახდა, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა გამოსვლებს საერთაშორისო სარბიელზე.

ბუნებრივია, რომ ყურადღებით მოვისმინეთ ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ამბები. სიამაყით აგვევსო გული, როცა ქებით მოიხსენიეს ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა სპორტსმენი ქალების უდიდესი წარმატება. ახსენეს ჩვენი მოჭადრაკე ქალების გამარჯვებაც იუგოსლავიაში გამართულ საჭადრაკო ოლიმპიადაზე.

კონფერენციამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ვგრძნობდი თუ როგორი ერთსულოვნებით, პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით იყო გამსჭვალული თვითეული დელეგატის გამოსვლა. ამიტომ ღრმად მჯერა: ის, რაც გადაწყვიტა ამ დიდმა ფორუმმა, სულ მალე გამოიღებს საამაყო ნაყოფს და ასახელებს საბჭოთა სპორტს.

მასში აუცილებლად იქნება საქართველოს სპორტსმენთა წვლილი, რომლებიც ღირსეულად დაიცავენ სამშობლოს სპორტულ დიდებას საერთაშორისო სარბიელზე.



ზ. ბერიაშვილი



შ. ლომიძე

ორი ჩემპიონი საქართველოდან

ორჯონიკიძე, 8 ივნისი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ აქ დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც უმჩატესი, მსუბუქი, საშუალო და მძიმე წონის 70-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

ყველასთვის მოულოდნელი იყო უმჩატეს წონაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის ა. ალიევის წარუმატებლობა. იგი პრიზიორთა სამეულშიც კი ვერ მოხვდა. აღნიშნულ წონაში ჩემპიონის ოქროს მედალი პირველად მოიპოვა ბაქოელმა არსენ კევორკოვმა, რომელმაც მხოლოდ ერთი ბრძოლა (ისიც ალიევთან) დაამთავრა ფრედ.

უმჩატეს წონაში დიდი ინტერესით მოელოდნენ სსრ კავშირის ნაკრების წევრის — ზ. შეყირლაძის გამოსვლას. მაგრამ ავადმყოფობამ მას ტურნირში მონაწილეობის საშუალება არ მისცა. ამ წონაში გამოდიოდა ახალგაზრდა ბათუმელი სპორტსმენი თ. მესხიძე, რომელიც მეორე წრეში გამოეთიშა ბრძოლას (მინსკელ ლ. შაპიროსთან დამარცხების შემდეგ).

მსუბუქ წონაში ფინალისკენ დამაჯერებლად მიიწევდა საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ჩემპიონი ზ. ბერიაშვილი. ოთხი რიგითი გამარჯვების შემდეგ იგი საჯარიმო ქულის გარეშე შეეიდა ფინალში ორჯონიკიძელ ოსტატებთან ი. გუსოვთან და ნ. ჟურულთან ერთად. ბერიაშვილმა ფინალში ქულებით დაამარცხა ჯერ ჟურული, შემდეგ კი გუსოვი და ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.

კარგ სპორტულ ფორმაში იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი შ. ლომიძე. მოსკოველ მ. მაკლაკოვთან წმინდა გამარჯვების შემდეგ იგი ოქროს მედლის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი გახდა საშუალო წონაში. მეექვსე წრეში ქართველი მოჭიდავის მეტოქე იყო ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი კიეველი ბ. გურევიჩი. ორთაბრძოლა ყაიმით დამთავრდა. აშკარა იყო ქართველი მოჭიდავის უპირატესობა უკანასკნელ ბრძოლაში მახაჩყალელ კ. აგაევთან. მან შეხვედრა ქულებით მოიგო და პირველად დამსახურა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება.

მძიმე წონის ფინალისტთა შორის გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა მუდმივი მეტოქეების ა. ივანიცკისა (მოსკოვი) და ა. მედვედის (მინსკი) ორთაბრძოლას. უკანასკნელ წლებში გამარჯვების სასწორი მეტწილად მედვედის მხარეს იხრებოდა. ამჯერად მოსკოველმა ქულებით გაიმარჯვა და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ქვემოთ მოგვყავს ჩემპიონატის პრიზიორთა სია:

უმჩატესი წონა. 1. ა. კევორკოვი (ბაქო), 2. ა. ფიგერი (ჩერნიგოვი), 3. ვ. ლიტვინი (ლვოვი).

მსუბუქი წონა. 1. ზ. ბერიაშვილი (თბილისი), 2. ი. გუსოვი, 3. ნ. ჟურული (ორჯონიკიძიდან).

საშუალო წონა. 1. შ. ლომიძე (თბილისი), 2. კ. აგაევი (მახაჩყალა), 3. ბ. გურევიჩი (კიევი).

მძიმე წონა. 1. ა. ივანიცკი (მოსკოვი). 2. ა. მედვედი (მინსკი), 3. გ. ანდიევი (ორჯონიკიძე).

◆ **ტაშკენტი.** გუშინ ადგილობრივმა „პახტაკორმა“ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში დაამარცხა მონტევიდეოს „ნასიონალი“ — 2:1. ეს ურუგვაელთა პირველი წაგებაა ტურნეში ევროპის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში.

◆ **ამსტერდამი.** საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირის XV ტურში სპასკიმ დაამარცხა ბილეკი, ლარსენმა —პორტიში, ფოგელმანმა — პერესი, პორტამ — გლიგორიჩი, ვრანეშიჩმა — ტრინგოვი.

ტალ — რეშევსკის პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადადიდო.

◆ **ბალტიმორა** (აშშ). ბრწყინვალე შედეგს მიაღწია 16 წლის მოსწავლე გოგონამ ტომპსონმა 100 იარდზე რბენაში. მისი შედეგი — 10,2 — 0,1 წამით უკეთესია სახელგანთქმული ავსტრალიელის მეტიუსის მიერ 1958 წელს დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე. მაგრამ ტომპსონის ეს შესანიშნავი მიღწევა შესაძლოა არ დაამტკიცონ მსოფლიო რეკორდად, რადგან სტადიონზე არ აღმოჩნდა... ქარმზომი.

◆ **რიო-დე-ჟანეირო.** 8 ივნისს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა — ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხა პორტუგალიის ნაკრები გუნდი და „ოთხთა ტურნირში“ მეორე ადგილი დაიკავა. III—IV ადგილებზე (თითო-თითო ქულით) გავიდნენ ინგლისელები და პორტუგალელები.

◆ **სოფია.** ბულგარელმა ვ. მიხაილოვამ ბადრო ტყორცნა 56,52 მეტრზე! ასეთი შედეგი წელს მსოფლიოში არავის უჩვენებია.



როგორც ვიუწყებოდით, მინსკში დამთავრდა რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, მოსკოვისა და ლენინგრადის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა. ძალებს ცდიდნენ ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებიც. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა.

სურათზე: ვაუთა შორის სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებული ვ. ბრუმელი ძლევს თამასას. მან გადალახა 2,18 მეტრი.

ფოტო ვ. უნ და-სინისა. (საკადესი).

გამარჯვებული ცნობილია — ჯანმრთელობა!

პირველად საქართველო — საინდაზმეღოა სპარტაკიადა

სპორტკლუბ „გამარჯვების“ ცხოვრებაში გასული შაბათი, 6 ივნისი, ჩვეულებრივი თარიღი არ იყო. სპორტის მოყვარულები, რომლებმაც სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ შეავსეს კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის სპორტული ბაზის ტრიბუნები, ღიმილს ვერ იკავებდნენ.

მართლაც და უჩვეულო სანახაობა იყო: ახალგაზრდობამ დაიკავა ადგილები მაყურებელთათვის, ხოლო ხანდაზმული ხალხი, რომელთაგან ზოგმა 60 წელსაც გადააბიჯა, სპორტული ფორმის უხერხული სწორებით მოეწყო საადღუმო მწყობრში.

... ვეტერანთა ექვსეული: დურგალი ა. კინწურაშვილი, მლესავი ლ. გრიგოროვი, მთავარი ტექნოლოგის მოადგილე გ. ხოჭოლავა, № 2 საამქროს ოსტატი პ. რევინი, სარემონტო საამქროს უფროსი ი. დანდუროვი და საიარაღო მეურნეობის გამგე მ. იაროცკი „განთიადის“ დროშით მიაბიჯებენ მწყობრის წინ, ფლაგშტოკზე ამაგრებენ ალამს და საზეიმო მუსიკის ჰანგების თანხლებით აღმართავენ მას.

ასე დაიწყო საქართველოში პირველი შიდასაქარხნო „ჯანმრთელობის სპარტაკიადა“!

მეტად რთულია შეჯიბრების პროგრამა: მძღეოსნობა, ფრენბურთი, რიკაობა, სროლა, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, ბაგირის გადაძალვა... ამასთან, მონაწილეთა ასაკი მკაცრადაა რეგლამენტირებული: 35 წელიწადზე ნაკლები არ უნდა იცხოვრო ამ ქვეყანაზე, რომ სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლება მიიღო. შეჯიბრებაში კი 500-მდე მუშა-მოსამსახურე ჩაება. კარგი დასაწყისია!

ჯერ აღვნიშნავთ სხვა გარემოებასაც: სპარტაკიადის მიზანი რეკორდების მოხსნა და საკლასიფიკაციო ნორმატივების შესრულება-რიდია. არა, იგი გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოვანია! შთაბერო სიხალისე კუნთებს, რომლებიც გადაეჩვივნენ სპორტს, შთაბერო ახალგაზრდული სული მათ, ვინც მოხუცებულობის მოახლოება იგრძნო, განამტკიცო მშრომელთა ჯანმრთელობა — რა შეიძლება იყოს ამაზე კეთილშობილური ამოცანა! მისი წარმატებით გადაწყვეტა კი ცხადი გახდა შეჯიბრების პირველსავე დღეს.

.... ფრენბურთი. მოედანზე, მე-6 კორპუსის გუნდში, ჩვენთვის უკვე ნაცნობი გ. ხოჭოლავაა, ადამიანი, რომელმაც გადააბიჯა 50 წლის მიჯნას. მაგრამ როგორ სულ უფრო დაბეჯითებული ხდება მისი მოძრაობანი ბურთზე ყოველი დარტყმის შემდეგ, როგორ ცოცხლდება რეაქცია, რომელსაც ზოგი ახალგაზრდაც ინატრებდა! და რაოდენ დიდია ვეტერანის სიხარული, როცა მე-2 საამქროს გუნდი — მათი მეტოქე — დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამარცხებული ტოვებს მოედანს (1:2). ამ თამაშში გ. ხოჭოლავასთან ერთად გამოირჩეოდა მისი მეგობარი მ. იაროცკი. და ეს მაშინ, როცა მან უკან მოიტოვა ცხოვრების 60 წელი!

.... რიკაობა. თადარიგის პოლკოვნიკი, სამნეო ნაწილის უფროსი პ. მიქაძე ზუსტი მოძრაობით ანგრევს „ტყვიამფრქვევის ბუდეს“. მეგობრები იცინიან: „ძველი სამხედრო წრთობაა!“

ერთიმეორის მიყოლებით „უსწორებს ანგარიშს“ ფიგურებს მე-9 საამქროს ოსტატი მ. ვადაჭკორია. მას არც ხარატი ა. შატერნიკოვი და საამქროს უფროსი ე. კობზინაძე ჩამორჩებიან.

... ბაგირის გადაძალვა. აქ თავი გამოიჩინეს პირველი და მეექვსე კორპუსების წარმომადგენლებმა. მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლები ჯერ კიდევ წინაა.

ჩვენ ვესაუბრეთ სპარტაკიადის რამდენიმე მონაწილეს. ხომ საინტერესოა, რა აზრის არიან ამ ღონისძიებაზე თვით „მებრძოლნი“?! აი, მათი პასუხებიც:

ე. არჩვაძე: „მოუთმენლად ველოდები, როდის დაიწყება შეჯიბრება ჩემს საყვარელ სახეობაში — მაგიდის ჩოგბურთში. მე ხომ ოდესღაც პირველთანრიგოსანი სპორტსმენი ვიყავი!“

ა. ხუციშვილი: „დიდი ხანია არ მითამაშია ფრენბურთი. დაახლოებით 10-12 წელი. დასაწყისში, ცოტა არ იყოს, გამიძნელდა, მაგრამ პირველივე პარტიის შემდეგ ვიგრძენი: საქმე კარგად წავა!“

ი. იარალოვი: „რიკაობა მეტად სახალისო თამაშია. მეც მთელის ხალისით ვმონაწილეობ მასში და ვგრძნობ, როგორ მიათკეცდება ძალები და მიბრუნდება ახალგაზრდული სულისკვეთება“.



... ამაყად ფრიალებს „განთიადის“ ცისფერი სპორტული ალამი კიროველთა ფლაგშტოკზე. სპარტაკიადამ სტარტი აიღო. მის ფინიშს ვერ მოათავსებ ცხრილის უჯრედებში, ვერც წამმზომებით აღნუსხავ. მისი ფინიშია შრომისა და სპორტის ასობით ადამიანის ჯანმრთელობა.

ხასიხარულოა, რომ ამ დიდმნიშვნელოვან და კეთილ საქმეში კიროველები, რომლებმაც პირველთა შორის მოიპოვეს ჩვენს ქვეყანაში სპორტული კლუბის შექმნის უფლება, ამ ძვირფასი თაოსნობის წამომწყებნიც არიან ჩვენს რესპუბლიკაში.

კეთილი გზა, „ჯანმრთელობის სპარტაკიადას“!

ბ. კოვალიოვი

* * *

სურათებზე: რიკაობაში ძალებს ცდის მე-9 საამქროს უფროსი ე. კობზინაძე; უფროსი ასაკის ფრენბურთელთა ერთ-ერთი მატჩის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ირაკლი არაბული



ალექსანდრა ჯაფარიძეს

ორი მამაცი —
ორი ძმა მისი
თეთნულდს და უშბის
კალთებს ეფარვის, —
ხიცოცხლე ვისიც
და გული ვისიც
ამ ენგურივით
იყო მგზნებარე.
ეს მთები ექცათ
სიცოცხლის ზღვარად
(თუმცა სიცოცხლემ
არ იცის მიჯნა),
უტევდნენ მთებს და
ტოვებდნენ ბარათს,
ვით უკვდავების
უტყუარ ნიშანს.
მერე მოვიდა
აქ დაი მათი,
ლურჯთა მყინვართა
დასცა თავზარი
და ირყეოდა
ზარით და ზათქით
უშბა — ყინულის
თეთრი ტაძარი..
ის შორს გაჰყვება
ფიქრებს, ზმანებებს
(ახლა მთებს სძინავთ
და სალამოა),
როს დაბრუნდება
მთებით სვანეთის —
უშბის და შხელდის
თოვლი ჩამოაქვს.



თამაშის მსაჯია ფაბრიკის დირექტორი

ფეხსაცმლის გაერთიანება „ისნის“ № 1 ფილიალის ფიზკულტურის კოლექტივმა მოაწყო საინტერესო შეჯიბრება ფეხბურთში. მასში გზა გახსნილი ჰქონდათ ძირითადად უფროსი ასაკის ადამიანებს — მწმენდელებს, ცვლის ოსტატებს, საამქროს უფროსებს და ა. შ.

ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. წინასწარი შეხვედრების შედეგად დაკომპლექტდა ორი „ფინალისტი“ გუნდი, რომლებსაც არჩევდნენ იმით, რომ ერთის კაპიტანი იყო საწყობის გამგე ტ. გაჩეჩილაძე, ხოლო მეორისა — საამქროს უფროსი რ. სუკიასოვი.

მატჩი, რომელსაც სჯიდა ფაბრიკის დირექტორი დ. თომაძე, დამთავრდა ტ. გაჩეჩილაძის გუნდის გამარჯვებით — 4:3.

ჯ. მორგოშია

ბათუმი

ორ დღეს გრძელდებოდა აჭარის პირად-გუნდური პირველობა სასტენდო სროლაში. პირველად გაიმართა ადგილიდან სროლა 100 სამიზნეზე. გაიმარჯვა პირველთანრიგოსანმა პ. რადჩენკომ, რომელმაც 93 სამიზნე დააზიანა.

მრგვალ სტენდზე მსროლელებს მიეცათ 50-50 სამიზნე. სპორტის ოსტატმა ბ. მამუკელაშვილმა ორივე სერია თანაბრად ჩაატარა და 45 თეფში დააზიანა. ეს შედეგი საუკეთესო იყო.

ო. მურვანიძე

ზესტაფონი

სამრეწველო საწარმოო ზონის სპორტსაზოგადოება „განთიადის“ პირველობამ ფრენბურთსა და ჭადრაკში დაძაბულ, საინტერესო ბრძოლაში განვლო.

ფრენბურთში პირველობა მოიპოვეს ფეროშენადნობთა ქარხნის გუნდმა (მწვრთნელი ბ. ბარაბაძე).

ჭადრაკში გაიმარჯვეს თერჯოლის ღვინის ქარხნის სპორტსმენებმა (მწვრთნელი — ზ. ამირეჯიბი).

ლ. ჯიშიაშვილი

ჩოგბურთი ბაკურიანში

რუსთავის ზონაში უძლიერესნი

რუსთავში დამთავრდა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების მოსწავლეთა XVII (რუსთავის ზონის) რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბორჯომის, ხურამის, ვალეს, ენისლის სასწავლებლების ნაკრები გუნდები. სპორტის ცალკეულ სახეობებში გამოვიდნენ აგრეთვე რუსთავის მე-3, მე-16 და მე-17 სასწავლებლების გუნდები.

ასპარეზობა მიმდინარეობდა სპორტის 11 სახეობაში.

კარგად გამოვიდნენ ხურამელები, რომლებიც პირველობდნენ კლასიკურსა და თავისუფალ ჭიდაობაში, ველოსპორტში, სპორტულ ტანვარჯიშსა და ფეხბურთში და მეორენი იყვნენ მაგიდის ჩოგბურთში.

ბორჯომის სასწავლებლის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს კალათბურთში, ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში, ხოლო კრივში მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

ენისლის სასწავლებლის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს მძღეოსნობაში, ხოლო მეორე ადგილი დაიკავეს თავისუფალ ჭიდაობაში, ფრენბურთში, სპორტულ ტანვარჯიშსა და ფეხბურთში.

კრივში გაიმარჯვა რუსთავის მე-3 სასწავლებელმა, ხოლო ცურვაში — რუსთავის მე-17 სასწავლებელმა. ამ კოლექტივის ფიზკულტურელები მეორე ადგილზე გამოვიდნენ კალათბურთსა და მძღეოსნობაში. რუსთავის მე-16 სასწავლებლის სპორტსმენები მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ კლასიკურ ჭიდაობასა და ველოსპორტში.

რუსთავის ზონალურ ასპარეზობაში საერთო პირველი ადგილი მოიპოვეს ხურამის სასწავლებლის წარმომადგენლებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ბორჯომელები. ეს მათი დიდი მიღწევაა, რადგან გასულ წელს ისინი ბოლო ადგილზე იყვნენ.

სპორტის ცალკეულ სახეობებში პირველ-მეორე ადგილებზე გამოსული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ სპარტაკიადაში, რომელიც გაიმართება თბილისში 10-დან 17 ივნისამდე.

ასეთ დიდ ღონისძიებას გაურკვეველი მიზეზით, რატომღაც თავი აარიდეს სოფელ კაზრეთის (ბოლნისის რაიონი) 25-ე სასწავლებლის ფიზკულტურელებმა, თუმცა შეჯიბრებაში მონაწილეობაზე განაცხადი წარმოადგინეს.

ხ. მეგრელიშვილი,
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.

თელავს ასეთი სტადიონი?!

ჩვენი რესპუბლიკის უველა რაიონულ ცენტრს აქვს სპორტული ნაგებობანი. ეს კი ფიზკულტურის ადგილობრივ მოყვარულებს საშუალებას აძლევს წლის ყოველ დროს რამდენიმე სახეობაში იმეცადინონ. ასეთი ბაზები აქვს თელავსაც. ერთი მათგანია „კოლმეურნის“ სტადიონი, რომელიც ერთადერთია ქალაქში. მაგრამ ვაი ამგვარ სტადიონს. მასზე ვარჯიშებისა თუ შეჯიბრებათა ჩატარება შეიძლება მხოლოდ ფეხბურთში და მისი მინდორიც ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას.

გასახდელების უვარგისობის გამო სპორტსმენები ხშირად თავს აფარებენ სპორტკავშირის თანამშრომელთა სამუშაო ოთახებს. ასე იყო ამ დღეებში აქ გამართული „ბ“ კლასის ოსტატთა გუნდის — სოხუმის „დინამოსა“ და ადგილობრივი „ნადიკვარის“ ფეხბურთელთა ამხანაგური მატჩის დროსაც (შეხვედრა მოიგეს თელაველებმა—6:1). სტადიონს არა აქვს საშხაპეები. დანგრევის პირზეა მისული შესასვლელები, შესაკეთებელია ტრიბუნები.

თელაველთა შორის ბევრია მძღეოსნობის მოყვარული, წვრთნის ნორმალური პირობები კი მათ ამ „ცენტრალურ“ სტადიონზე არა აქვთ. გაპარტახებულია ოდესღაც ვარგისი 100-მეტრიანი ხარბენი ბილიკი, არსად ჩანს ხახტომი და სატყორცნი სექტორების კვალი. მათი ადგილი მიწის გროვას დაუკავებია. გროვები მთებივითაა წამოჭიმული კარის უკანაც.

„კოლმეურნის“ რაიონული და ცენტრალური საბჭოები, ქალაქის ხელმძღვანელობა მეტს რომ ზრუნავდნენ ამ ერთადერთი ბაზის კეთილმოწყობისთვის, ცხადია სტადიონი არ იქნებოდა ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში.

ამბობენ: თელაველებს საკუთარი ძალებით ახალი სტადიონის მოწყობა განუზრახავთო. კარგია! მაგრამ ეს ხომ წლების საქმეა. ვიდრე ბაზას მიიღებენ, ხომ შეიძლებოდა არსებულის წესრიგში მოყვანა, მიწის გროვების მოსწორება, ტრიბუნების, გასახდელების, შესასვლელების შეკეთება — ნორმალური პირობების შექმნა სპორტსმენებისა და გულშემატკივრებისათვის?

ო. გელაშვილი
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოტოგრალდება



თელავის სტადიონის სახტომი და სატყორცნი „სექტორების“ დღევანდელი სახე.

ფოტო **ავტორისა.**

წიგნის თარო

„საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა სპორტული მოთხრობების კრებული „ჩატარდება ყოველგვარ ამინდში“.

ამ მოთხრობების ავტორები არიან სახელმოხვეჭილი მწვრთნელები და სპორტული ჟურნალისტები — ლ. კასილი, ი. ნაგიბინი, ს. ლეონი, ა. კულეშოვი და სხვ. ისინი მოგვითხრობენ საბჭოთა სპორტის საუკეთესო წარმომადგენლებზე.

ტირაჟი — 20.000 ცალი, ფასი 25 კაპ.

ჩვენ ეროვნული ჯვრისწერა

განვლილ კვირას თბილისის არმიელთა სპორტკლუბის სტადიონზე გაიმართა კალენდარული მატჩი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ ანგარიშით 2:1 დაამარცხა ლანჩხუთის „გურია“.

სურათზე: თამაშის მომენტი. ფოტო მ. ზარგარიანისა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐᲛ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ ᲐᲘᲚᲝ

7 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ ᲐᲘᲚᲝ მოსწავლეთა XVI რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ. გაიმართა პირველი შეხვედრები ხელბურთში, წყალბურთში, ჩოგბურთში, შაშში, ჭადრაკში.

ხელბურთელთა ასპარეზობაში მონაწილეობს გოგონათა და ვაჟთა 16 კოლექტივი, მათ შორის — 4 თბილისიდან. პირველი დღის შედეგები ასეთია: **ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ** — თბილისი I — ფოთი 19:4, სამხრეთ ოსეთი — რუსთავი 6:7, აფხაზეთი — თბილისი II — 4:1, ქუთაისი — აჭარა 10:6. **ᲕᲐᲟᲔᲑᲘ:** თბილისი I — ფოთი 35:21, რუსთავი — სამხრეთ ოსეთი 24:14, თბილისი II — აფხაზეთი 30:20, ქუთაისი — აჭარა 30:22.

წყალბურთელთა ტურნირში პირველ დღეს გაიმართა ორი შეხვედრა. თბილისის მეორე გუნდმა გამანადგურებელი ანგარიშით (17:1) დაამარცხა ქუთაისის კოლექტივი, ხოლო თბილისის პირველმა ნაკრებმა მოუგო აფხაზეთის გუნდს — 5 : 2.

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ

გასულ კვირას ქუთაისის ცენტრალურ და „დინამოს“ სტადიონებზე დაიწყო მოსწავლეთა XVI რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებანი ფეხბურთში. პირველობას ერთმანეთს ეცილებიან აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, გორის (I ქვეჯგუფი), სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ლანჩხუთისა და საჩხერის (II ქვეჯგუფი) ნაკრები ბოლოტურნირები.

ასპარეზობის პირველ დღეს თბილისელი მოსწავლეები შეხვდნენ სამხრეთ ოსეთის გუნდს. დედაქალაქის სპორტსმენებმა კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1 (2:0). თბილისელთაგან გამოირჩეოდა თავდამსხმელი მ. ჭელიძე.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: აჭარა—აფხაზეთი 1:1, ლანჩხუთი—საჩხერე 0:1, ქუთაისი — გორი 4:1.

ლ. ᲤᲐᲩᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

მოსწავლეთა XVI რესპუბლიკური სპარტაკიადა. სურათზე: ფოთისა და თბილისის ხელბურთელ გოგონათა შეხვედრის მომენტი.

ᲓᲘᲓᲘᲓᲐᲜ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲛᲓᲔ...

სოხუმი, 8 ივნისი. (ტელეფონით). გასული კვირადღე აფხაზეთის მშრომელთათვის ჯანსაღი და ხალისიანი დასვენების დღე იყო. სოხუმში ზღვისპირა პარკს, ხეივნებსა და სპორტულ მოედნებს დილიდანვე მხიარული ჟრიამული მოეფინა. ახალგაზრდებმა იმპროვიზირებული ტურნირები მოაწყეს სპორტის მთელ რიგ სახეობებში.

ნაშუადღევს სოხუმის სტადიონზე მოეწყო აფხაზეთის პირველობის მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში ადგილობრივი „აეროპორტისა“ და ოჩამჩირის „კოლმეურნეს“ შორის. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს სოხუმელებმა.

ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული შეხვედრა გაიმართა გალშიც. ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა დაამარცხა გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის გუნდი — 1:0.

ᲐᲕᲚᲐᲒᲛᲝᲗ ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲘ

ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ

დარწმუნებული ვარ, რომ გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობა საფეხბურთო ქრონიკის კურსში იმყოფება. ამიტომ ჩვენ არ შევჩერდებით მასზე. მით უმეტეს, რომ წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში ერთობ გაურკვეველი მდგომარეობაა. ფეხბურთის სტატისტიკოსი კ. ესენინი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, როცა 8 ტურის შემდეგ განსხვავება ჯუფებში ლიდერებსა და აუტსაიდერებს შორის ასე ცოტა ყოფილიყოს. თუ შარშან განსხვავება პირველ და ბოლო ადგილებს შორის 10 ქულას უდრიდა, ახლა ამ ციფრმა ექვსამდე დაამოწია. ეტყობა, ქულების მოპოვება სულ უფრო ძნელი ხდება.

გავიხსენოთ ჩემპიონატის დასაწყისი. 4 გამარჯვება! 8 ქულა! ასეთი და ამდენ უფრო უკეთესი დასაწყისი თბილისის „დინამოსგან“ მრავლად გვახსოვს, მაგრამ ძალზე დამაფიქრებელია ამ დასაწყისის შემდგომი განვითარება და ქუთაისელთა საოცრად წარუმატებელი სტარტი. ქუთაისის ტორპედოელთა წინაშე წამოჭრილი თავისებური ფსიქოლოგიური ზღუდე მათთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ალბათ, ეს აზრით კი იგი მოსალოდნელი იყო.

საშუალო და გრძელ დისტანციებზე ბრძოლაში არსებობს ე. წ. „მკვდარი წერტილი“, როდესაც სპორტსმენი გაიცდის საოცარ სიმძიმეს, გრძნობს, რომ მას აღარ შეუძლია განაგრძოს ბრძოლა. ვინც ვერ დაძლევს ამ დროებით სიმძიმეს, იგი „ჩამოდის“ დისტანციიდან, ხოლო ის, ვინც თავისი ძალების დაძაბვით უმკლავდება „მკვდარ წერტილს“, სულ მალე გრძნობს ძალების ახალ მოზღვავებას. მას ეხსნება მეორე სუნთქვა.

დაახლოებით ამგვარი რამ ხდება ფეხბურთის გუნდში, განსაკუთრებით ახალბედებში. მართლაც, არც ერთ კოლექტივს არ შეუძლია მუდამ იმყოფებოდეს ენთუზიაზმის გავლენის ქვეშ. „ა“ კლასში მხოლოდ ამ ფაქტორით შორს ვერ წახვალ. რომელიღაც მომენტში ეს ენთუზიასტური აღმაფრენა ილევა, სხვა სანებისყოფო კომპონენტები ჯერ საკმარისი არაა და ადგება თავისებური „მკვდარი წერტილის“ პერიოდი. თუ გუნდი გარდატეხის ამ მომენტში ვერ გამოიჩენს ნებისყოფის სიმტკიცეს, ყველაფერი დაკარგულია. მოკლევადიან სტაჟიორობას ვერ მოჰყვება მუდმივ „შტატში“ ჩარიცხვა.

ასე ამოუხსნელი გვეჩვენებოდა სსრ კავშირის ჩემპიონატში VI ადგილის შემდეგ ტაშკენტის „პახტაკორის“ მარცხი. ასე მოუვიდათ „არარატს“ (ერევანი), „ავანგარდს“ (ხარკოვი) და ბევრ სხვასაც.

მაგრამ ამ მოვლენას არავითარ შემთხვევაში ფატალურად არ უნდა მივუდგეთ. უნდა ვიცოდეთ, რომ სიმწიფის მდგომარეობაში გადასვლისას გარკვეული კრიზისი გარდუვალია. ამ კრიზისს უნდა ველოდოთ, ვემზადოთ და მასთან ბრძოლაც გაცილებით უფრო იოლი იქნება.

და რახან ქუთაისის ტორპედოელები მას არ ელოდნენ, ახლა მათთვის მთავარია ნერვების ალაგმვა. რასაკვირველია, ტორპედოელებს ახლა ყველაზე უფრო ქულები ჭირდებათ, ვინაიდან დგება საკითხი ყოფნა-არყოფნის შესახებ, მაგრამ ამ ქულების ძიებისას არ შეიძლება წინდაუხედაობის გამოჩენა. მოჭადრაკეთა ენით რომ ვთქვათ, ქუთაისელთათვის არ შეიძლება გასვლით თამაშებში „ღია დებიუტის“ გამოყენება, მით უმეტეს, კონტრშეტევის ისეთ ოსტატებთან, როგორებიც არიან როსტოვის არმიელები. ტორპედოელებს ალბათ ეგონათ, რომ როსტოველებთან მატჩში მათ ყველაფერი სწორად ჰქონდათ ჩაფიქრებული და მას ხელი შეუშალა მხოლოდ არნახულმა უიღბლობამ, სინამდვილეში კი ისინი თავანთი ტაქტიკით წყალს სხვის წისქვილზე ასხამდნენ. ნახევარდაცვას შეტევის უფლება უნდა მიეცეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი თავს გაართმევს თავდაცვის ფუნქციებს. ეყოფათ თუ არა ქუთაისელებს ნებისყოფის რეზერვები „მეორე სუნთქვისათვის“, აი ესაა ახლა მთავარი.

თბილისელებს სხვა სადარდებელი აქვთ. შესანიშნავი სტარტის შემდეგ (11 ქულა 12 შესაძლებლიდან), მათ ბოლო 4 მატჩში აიღეს სულ... 1 ქულა, ე. ი. ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდზე ნაკლები. და ეს 1 ქულაც „ნაშოვნი “იქნა შინ, საკუთარ მინდორზე, და ისიც ისეთ თამაშში, რომლის გახსენებაც უსიამოვნო გრძნობას იწვევს.

სიმართლე რომ ითქვას, ეს ეგ მოსალოდნელი იყო. „ა“ კლასის არც ერთ გუნდს არ შეუძლია ბოლოსდაბოლოს არ იგრძნოს, რომ მას აკლია რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, დაცვის სული და გული (მეკარე და ორივე სტოპერი), მით უმეტეს, როცა ლაპარაკია ისეთი კლასის მოთამაშეებზე, როგორებიც არიან კოტრიკაძე, ჩოხელი და ხურცილავა. როცა ამას ემატება სხვა წამყვან ფეხბურთელთა თამაშის დონის დაქვეითებაც, ყველაფერი ნათელი ხდება.

ყველაფერი ეს, რაც თბილისის „დინამოში“ მოხდა, დავმეხვა ახალი მწვრთნელის — გ. კაჩალინის მოსვლას ეკუთვნის. იგი იძულებული იყო რამდენიმე ექსპერიმენტი მოეხდინა. რა თქმა უნდა, ჩვენთვის საეჭვოა ორი ცენტრალური მცველის წინა და უკანა სტოპერებად გარდაქმნის აუცილებლობა და ისიც ასე სახელახლოდ. ეჭვს იწვევს იამანიძის გადაყვანა თავდასხმის ცენტრში, ვინაიდან ასეთ გადაადგილებას ადრეც ჰქონდა ადგილი „დინამოში“ და ყოველთვის წარუმატებლად. შეიძლება არც აფშვეის მიმართ იყო საჭირო ასეთი ნაჩქარეობის გამოჩენა. მაგრამ ყველაფერი ეს წარმოქმნილია სიძნელეებით და არა პირიქით, თითქოს მათ წარმშვეს სიძნელეები.

მე მინდა ფეხბურთის მოყვარულებს ვუთხრა, რომ გ. კაჩალინმა კი არ წარმოქმნა ეს სიძნელეები გუნდში, არამედ მას უხდება მათთან ბრძოლა. წამყვან მოთამაშეთა ავადმყოფობა და ფორმიდან გამოსვლა აუცილებლად მიიყვანდა გუნდს ამ ზომამდე. დადგება დრო, როცა გავერკვევით ახალი მწვრთნელის უნარში, თუ როგორაა საჭირო თამაშის ორგანიზება და გუნდის მომზადება. ჯერჯერობით კი საჭიროა გამოვიჩინოთ მოთმინება და გავერკვეთ შექმნილ ვითარებაში. ვფიქრობ, ჩვენი სპორტული საზოგადოებრობა მისთვის ჩვეული სითბოთი და მეგობრული გრძნობით შეხვდება მწვრთნელს, რომელმაც იკისრა გაინაწილოს ჩვენთან ერთად საქართველოს საუკეთესო გუნდის ავ-კარგი.

როგორც ფეხბურთელების, ისე მათი ქომაგებისთვის თბილისშიც და ქუთაისშიც ახლა მთავარია ერთი — ნერვების ალაგმვა.

Თ. ᲛᲔᲓᲘᲕᲐᲜᲘ

ᲬᲘᲜᲐᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ, ᲜᲔᲘᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ...

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მოსკოვი. 7 ივნისი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. სსრ კავშირი — გდრ — 1:1 (1:0).

სსრკ: ურუშაძე — მუდრიკი, შესტერნიოვი, კორნეევი, გლოტოვი — მასლოვი, ბიბა — სერებრიანიკოვი, სეიფდოვი, კოპაევი, ბურჩალკინი.

გდრ: ჰეინშე — ურბანჩიკი, ვალტერი, გეისლერი, პანკაუ — უნგერი, ფრიოსდორფი — კიორნერი, კლეემინგერი, ფოგელი, ფრენცელი.

მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კარლსონი (შვეიცია).

ფეხბურთის საბჭოთა სპეციალისტებსა და გულშემატკივრებს ეჭვი არ ეპარებოდათ ჩვენს ოლიმპიელთა უცილობელ გამარჯვებაში. საამისოდ მათ თითქოს მტკიცე არგუმენტებიც ჰქონდათ: პირველ ყოველისა, ფრე ლაიფციგში, შემდეგ კი, რაც მთავარია... ლუჟნიკის სტადიონის „შინაური კედლები“.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ბურთი ამჯერადაც არ „ჰყოლია“ პროგნოზებს და მსაჯის საფინალო სასტვენმა საბჭოთა და გერმანელ ოლიმპიელთა მეორე მატჩის დასასრულს უძლიერესი კვლავ ვერ გამოავლინა. ამასთან, ზუსტად განმეორდა „ლაიფციგის ვარიანტი“ — ორივე შემთხვევაში ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, სტუმრები კი გამქვითველთა არც თუ სასიამოვნო როლში აღმოჩნდნენ.

საბჭოთა ფეხბურთელებს თამაშის 62-ე წუთამდე „ედოთ ჯიბეში“ ტოკიოს საგზურები. ამას ისინი კოპაევის ზუსტ თავურ დარტყმას უნდა უმადლოდნენ (მე-14 წუთზე). ბურთი მან მართლაც ოსტატურად გაიტანა 3-4 მეტრიდან. შეიძლება ითქვას, რომ სადებიუტო სტადიაში ეს იყო ერთადერთი აშკარად ხელსაყრელი მომენტი, თუმცა ბრძოლა ძირითადად ჩვენი ოლიმპიელების შეტევით მიმდინარეობდა. ყოველგვარი ქების ღირსია სტუმართა დაცვითი ხაზი, რომელმაც თავიდანვე აუღო ალღო მასპინძელთა ტაქტიკურ მოქმედებას.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა უმატეს ტემპს. ახლა ისინი უფრო სწრაფად და დროულად გადიოდნენ ბურთზე. და აი, 62-ე წუთზე ცენტრალური თავდამსხმელი კლეემინგერი ღიად დარჩა ჩვენი საჯარიმო მოედნის მისადგომებთან. გლოტოვი შეფერხდა, ურუშაძეც მოუმზადებელი აღმოჩნდა და ჩვენი კარის ბადეში გავიდა შედარებით იოლი ბურთი. ათიოდე წუთის შემდეგ სტუმრებმა კინაღამ მეორე ბურთი გაიტანეს, მაგრამ ჩვენთვის ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

ამ დღეს საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები შეუთანხმებელ ანსამბლს წარმოადგენდა. ძალაუნებურად დამებადა შედარება იმ ვაი-მუსიკოსებთან, რომლებიც თავთავისთვის უკრავენ და მთლიანობისა და ჰარმონიის არაფერი გამოუდით რა. განსაკუთრებული საყვედურის ღირსია დაცვითი ხაზი, რომელიც უსისტემოდ, ურთიერთდაზღვევის გარეშე მოქმედებდა. უკეთ როდი გამოიყურებოდა მასლოვი. მან, ჩემი აზრით, აშკარად ვერ გაართვა თავი დაკისრებულ ფუნქციას.

ასე თუ ისე, ეს მატჩიც ფრედ დამთავრდა. ახლა წინაა მესამე, გადამწყვეტი შეხვედრა. იგი ნეიტრალურ მინდორზე გაიმართება და, ალბათ, ბოლოსდაბოლოს გამოავლენს გამარჯვებულს. მაგრამ ხომ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ეს მატჩიც ფრედ დამთავრდეს? დებიუტების თანახმად მაშინ ყველაფერს გადაწყვეტს ჩვეულებრივი წილისყრა: ბრმა ფორტუნა ერთ-ერთ მეტოქეს „ჯიბეში ჩაუდებს“ ტოკიოს საგზურს.

ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ძნელი მისია მსაჯთა ბრიგადამ — არბიტრმა კარლსონმა, გვერდითმა მსაჯებმა ბეგსტრემმა და იუჰანსონმა (შვეიცია). სხვათა შორის, კარლსონს მსაჯის საერთაშორისო კატეგორია აქვს ხელბურთშიც.

Ჯ. ᲔᲜᲣᲭᲘᲫᲔ.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲨᲘ

დიდ ინტერესს იწვევს საკავშირო პირველობის გათამაშება ფეხბურთში რსფსრ-ს „ბ“ კლასის IV ზონაში, სადაც ჩვენი რესპუბლიკის გუნდებიც მონაწილეობენ.

აღსანიშნავია ბათუმის „დინამოს“ საუკეთესო სტარტი. შარშან ბათუმელმა ფეხბურთელებმა პირველი ადგილი დაიკავეს მოკავშირე რესპუბლიკათა პირველ ზონაში. რამდენიმე მათი საუკეთესო მოთამაშე გადაყვანილ იქნა სხვა გუნდებში და, მიუხედავად ამისა, დინამოელები წელსაც მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ.

გათამაშებას IV ზონაში ამჟამად ლიდერობს ბათუმის „დინამო“, რომელსაც 8 თამაშის შემდეგ აქვს 12 ქულა. ჩვენს გუნდს ჯერ არა აქვს განცდილი არც ერთი მარცხი. ლიდერს 2 ქულის განსხვავებით (7 თამაშის შემდეგ) მიჰყვება სტავროპოლის „დინამო“.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა კიდევ სამი მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში.

კიევის „დინამომ“ ანგარიშით 1:0 დაამარცხა ფერგანას „ნეფტიანიკი“. ასეთივე შედეგით ლენინგრადის „ზენიტმა“ მოუგო ოდესის „ჩერნომორეცს“. ლვოვის არმიელებმა დაამარცხეს გორკის „ვოლგა“ — 3:1.

გ. სპასკი ტურნირის ლიდერია

✦

საზონათშორისო ტურნირი ამსტერდამში

✦

ამსტერდამში გრძელდება საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირი. XIII ტურის გადადებული პარტიების დამთავრებამ და ერთდღიანი შესვენების შემდეგ გამართულმა XIV ტურმა საგრძნობი კორექტივები შეიტანეს სატურნირო ცხრილში.

პირველი დამარცხება განიცადა ტურნირის ლიდერმა დანიელმა დიდოსტატმა ლარსენმა. XIII ტურში გადადებული პარტიის განახლებისას მისმა მოწინააღმდეგემ ივკოვმა (იუგოსლავია) წარმატებით გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია. სამაგიეროდ, შეჯიბრების ერთ-ერთმა ლიდერმა საბჭოთა დიდოსტატმა სპასკიმ შეუპოვარი და დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაამარცხა ბენკო (აშშ).

პახმანმა (ჩეხოსლოვაკია) მოუგო პორატს (ისრაელი). ტრინგოვ (ბულგარეთი) — რეშევსკის (აშშ) პარტია დამთავრდა ყაიმით. დანარჩენი პარტიები კვლავ გადაიდო.

XIV ტურში კვლავ წარმატებით ითამაშა სპასკიმ. მან დაამარცხა ავსტრალიელი ბერგერი. ამ გამარჯვებით ლენინგრადელმა დააგროვა 11 ქულა და ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. გამარჯვებას მიაღწია აგრეთვე ლარსენმაც როსეტოსთან (არგენტინა) პარტიაში. ევანსმა (აშშ) მოუგო ტრინგოვს (ბულგარეთი), პორტიშმა (უნგრეთი)—გლიგორიჩს (იუგოსლავია). ბენკო—სმისლოვის, ბილეკ (უნგრეთი) — შტეინის (სსრკავშირი), რეშევსკი (აშშ)—ბრონშტეინის (სსრკავშირი) და ვრანეშიჩ (კანადა)—დარგას (გდრ) პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

საათნახევრიანი შესვენების შემდეგ ტალმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ლენდიელთან, ხოლო ივკოვმა მოუგო კვინნესს.

14 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: სპასკი — 11 ქულა, ტალი, ლარსენი, ივკოვი — 10,5 ქულა თვითეულს, ბრონშტეინი და სმისლოვი — 10 ქულა თვითეულს, რეშევსკი — 9,5 ქულა, შტეინი და ლენდიელი — 9 ქულა თვითეულს.

ჭადრაკის ამგეგი

△ **უნგრეთი.** ბუდაპეშტის ჩემპიონატში, რომელშიც 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა, გაიმარჯვა ოსტატმა ბარკაიმ (10 ქულა). ბუდაპეშტში შედგა უნგრეთისა და იუგოსლავიის ნორჩ მოჭადრაკეთა მატჩი 10 დაფაზე, ორ წრედ. ისე, როგორც გასულ წელს, ორთაბრძოლა დამთავრდა ყაიმით — 10:10.

△ **პოლანდია.** ზვოლის საერთაშორისო ტურნირში პირველი იყო უნგრელი ოსტატი ფლეში, მეორე — იუგოსლაველი დიდოსტატი ივკოვი.

△ **იტალია.** ქვეყნის ჭაბუკთა ჩემპიონატში I—II ადგილები გაიყვეს მარკიორიმ და კაპეჩამ.

△ **აშშ.** ჩრდილოეთ-ცენტრალური შტატების „ღია“ ჩემპიონატში გაიმარჯვა დიდოსტატმა ბენკომ (6,5 ქულა 7-დან).

△ **ფინეთი.** ჰელსინკის ჩემპიონი მეორედ გახდა კანკო (8 ქულა 9-დან).

△

მიმდინარე წლის მაისში პოპულარულმა ფრანგმა პროფესიულმა ველოსიპედისტმა რ. პულიდორმა მოიგო „ესპანეთის რბოლა“. იგი ამავე დროს საფრანგეთის ჩემპიონია. პულიდორს ჟ. ანკეტილის უახლოეს მეტოქედ თვლიან მომავალ „ტურ დე ფრანსში“.

სურათზე: რ. პულიდორი.

▽

ევროპის პირველობაზე

გაიმართა მატჩი ევროპის პირველობაზე მსუბუქი წონის პროფესიულ მოკრივეთა შორის. ვ. კვატორმა (გფრ) მე-14 რაუნდში ნოკაუტით მოუგო იტალიელ მ. გულიოტს და ევროპის ჩემპიონი გახდა. აღსანიშნავია, რომ ამ წონაში ევროპის ჩემპიონი მანამდე იყო ინგლისელი დ. ჩერნლი, მაგრამ წელს მან არ მოისურვა რინგზე გამოსვლა და სწორედ ამიტომ მოეწყო მატჩი ორ პრეტენდენტს შორის. ჩერნლი ახალ ჩემპიონს მომავალ წელს შეხვდება.

ქვემსუბუქ წონაში ერთმანეთს შეხვდნენ ევროპის ჩემპიონი ჰოუარდ უინსტონი (უელსი) და იტალიელი მასტელარი. მატჩი 15 რაუნდისგან შედგებოდა, მაგრამ უკვე მე-8 რაუნდში დამთავრდა ტექნიკური ნოკაუტით ჩემპიონის სასარგებლოდ. ლონდონში ამ ბრძოლას 30 ათასი მაყურებელი დაესწრო.



დრო ამოწურა...

შვეიცის ქალაქ ლუნგბიში მიმდინარეობდა ჰოკეის მატჩი „ვერნამოსა“ და „ჰისნვედს“ შორის. შეხვედრა არ დამთავრებულა შემდეგი მიზეზით: „ვერნამოს“ კლუბმა სტადიონი დაიქირავა გარკვეული დროით და ვინაიდან მატჩის დაწყებამ დაიგვიანა, იჯარის დრომაც განვლო. სტადიონის დირექციამ მეტისმეტი პუნქტუალობა გამოიჩინა და უმალ გამორთო სინათლე.

საქმეს არ უშველა არც მოთამაშეთა და არც მაყურებელთა პროტესტმა. მატჩი ჩაიშალა.

დაისაჯა მსაჯი

საფრანგეთის ქალაქ კანში გაიმართა მეტად საყურადღებო სასამართლო, სადაც საკმაოდ დიდი ფულადი ჯარიმა მიუსაჯეს ფეხბურთის მსაჯს კ. მარიოს.

საქმე იმაში გახლდათ, რომ ერთ-ერთი მატჩის მსვლელობისას რომელიღაც ფეხბურთელმა აბუჩად აიგდო კ. მარიო და არ დაემორჩილა მის განკარგულებას. აღშფოთებულმა მსაჯმა ჯერ სასტვენი ესროლა ფეხბურთელს, მერე ამოაძრო კუთხური დროშა და რამდენიმეჯერ ძლიერად ჩასცხო თავში წესრიგის დამრღვევს.

სასამართლო სრული შემადგენლობით დადგა დაზარალებულის მხარეზე.

გაიმარჯვეს არგენტინელებმა

ბრაზილიის ფეხბურთის 50 წლისთავს საგანგებო ზეიმით ელოდნენ ამ ქვეყანაში. ზეიმის ერთ-ერთ ცენტრალურ მოვლენას, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა „ოთხთა ტურნირი“ (ბრაზილია, არგენტინა, ინგლისი, პორტუგალია), სადაც მსოფლიო ჩემპიონებს ერთხელ კიდევ სურდათ დაემტკიცებინათ, რომ ისინი მართლა მსოფლიო ჩემპიონები ხრიან.

ამავე ტურნირის მოლოდინში იყვნენ არგენტინელებიც. მათ თავიანთი შეხედულება აქვთ საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებზე და მიაჩნიათ, რომ საკმარისია ანგარიშის გასწორება ბრაზილიელებთან, რათა არგენტინის ფეხბურთის პრესტიჟი (ყოველ შემთხვევაში თავიანთი მაყურებლის წინაშე) კვლავ საჭირო სიმაღლეზე იდგეს.

„ოთხთა ტურნირის“ დასაწყისი სავსებით შეესაბამებოდა მსოფლიო ჩემპიონთა სადღესასწაულო განწყობილებას. მათ ანგარიშით 5:1 დაამარცხეს ინგლისი, მაგრამ მეორე მატჩმა ბრაზილიელებს სრული კრახი მოუტანა — მასპინძლები დამარცხდნენ არგენტინასთან — 0:3.

არგენტინელებს, რომლებსაც ადრე დამარცხებული ჰყავდათ პორტუგალია (2:0), დარჩენილი ჰქონდათ ერთი მატჩი — ინგლისთან. ეს დაძაბული ბრძოლა ინგლისელებმა წააგეს ანგარიშით 0:1 და პირველი ადგილის საკითხი „ოთხთა ტურნირში“ ბოლოოდ გადაწყდა. იგი ბრწყინვალედ მოიგეს არგენტინელებმა ისე, რომ საკუთარ კარში არ გაუშვიათ არც ერთი ბურთი.

მსოფლიო ჩემპიონს დარჩა მხოლოდ მეორე ადგილზე გასვლის შანსი.



2:0 „ბოლონია“—იტალიის ჩემპიონი

რომის ოლიმპიურ სტადიონზე 7 ივნისს გაიმართა იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის გადამწყვეტი შეხვედრა „ბოლონიასა“ და „ინტერნაციონალეს“ შორის. როგორც ცნობილია, ამ გუნდებს სატურნირო ცხრილში ქულათა ერთნაირი რაოდენობა (34) ჰქონდათ.

აღნიშნულ მატჩს წინ უსწრებდა შეტად საგულისხმო ამბავი. „ბოლონია“ დიდხანს ლიდერობდა იტალიის ჩემპიონატს, მაგრამ სეზონის ბოლოს გუნდს უსიამოვნება შეემთხვა: იტალიის ფეხბურთის ლიგამ 18 თვით გაათავისუფლა „ბოლონიის“ მწვრთნელი ფ. ბერნარდინი და გუნდს 3 ქულა ჩამოაკლო იმ მიზეზით, რომ მოთამაშეებმა მიიღეს დოპინგი, რასაც ეროვნული ლიგა სასტიკად დევნის და კრძალავს.

გადამწყვეტი მატჩის წინ „ბოლონია“ მოულოდნელად დამარცხდა. ამან კიდევ უფრო გაუარესა კლუბის სატურნირო მდგომარეობა. „ინტერნაციონალე“ გაუთანაბრდა ლიდერს და აი, დაინიშნა გადამწყვეტი შეხვედრა.

„ინტერნაციონალესთან“ მატჩამდე „ბოლონიას“ კიდევ ერთი უბედურება დაატყდა თავს. ეროვნული ლიგის ერთ-ერთი სხდომის დროს, რომელიც კვლავ დოპინგის საკითხს იხილავდა (ეს პროცესი საერთოდ სამ თვეს გაგრძელდა), მოულოდნელად გარდაიცვალა კლუბის პრეზიდენტი რენატე დალარა.

... ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩი დაზარალებულმა გუნდმა დიდი აღმავლობით ჩაატარა. პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ, მაგრამ შესვენების შემდეგ ჯერ ფოლიმ, ხოლო შემდეგ ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა ნილსენმა თითო ბურთი გაიტანეს „ინტერნაციონალეს“ კარში და „ბოლონიას“ დამსახურებული გამარჯვება მოუტანეს. იგი გახდა იტალიის ჩემპიონი. ნილსენმა იტალიის ჩემპიონატში სულ 22 ბურთი გაიტანა.

ამავე დღეს მილანში „სამპდორიამ“ ანგარიშით 2:0 დაამარცხა „მოდენა“ და შეინარჩუნა ადგილი „ა“ ჯგუფში. (საკ. ინფ.).

* * *

სურათზე აღბეჭდილია „ინტერნაციონალესა“ და „ბოლონიის“ პირველი შეხვედრის მომენტი. მაშინ გამარჯვება „ინტერნაციონალემ“ მოიპოვა — 2:1. ფოტოზეა მომენტი, როდესაც ბრაზილიელმა ზანგმა ჟაირმა („ინტერნაციონალე“) გადამწყვეტი ბურთი გაიტანა „ბოლონიის“ კარში.

საერთაშორისო ფეხბურთიდან

▲ **პრაღა.** ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი უძლიერესი ჭოკით მხტომელის რ. ტომაშეკის შედეგი — 4,91 მ — მიმდინარე წელს საუკეთესოა ევროპაში.

▲ **ნიუ-იორკი.** გასულ სეზონში ნაკლებად ცნობილმა სპორტსმენებმა სენსაციური შედეგები აჩვენეს ტეხასის ქალაქ ჰიუსტონში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე. 23 წლის სტუდენტმა ფ. ჰანზენმა ჭოკით ხტომაში გაიმეორა ჯ. პენელის მსოფლიო რეკორდი — დაძლია 5,20 მეტრი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჰანზენმა ამ შედეგს ჩვეულებრივ ბილიკზე გამორბენით მიაღწია, მაშინ, როცა პენელიმ რეკორდი დაამყარა სპეციალურ ბილიკზე.

სენსაციური ცნობები მოვიდა კალიფორნიის ქალაქ კომპტონიდანაც. აქ 5.000 მეტრზე რბენაში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა რ. შიულმა — 13.38,38 (აშშ-ს რეკორდი-და მეოთხე შედეგი მძლეოსნობის ისტორიაში).

მსოფლიოში სეზონის საუკეთესო მაჩვენებლებით აღინიშნა 3.000 მეტრზე წინაღობებით რბენაც. გამარჯვებული ჯ. ფიშბეკის დროა 8.33,2.

▲ **მილანი.** დამთავრდა იტალიის პროფესიულ ველოსიპედისტთა მრავალდღიანი ველოსრბოლა „ჯირო დ' იტალია“. უკანასკნელი, 22-ე ეტაპი, რომლის ფინიში მილანის ტრეკ „ვიგორელიზე“ მოეწყო, მოიგო გერმანელმა ვ. ალტიგმა.

საერთო პირველი ადგილი რბოლაში ფრანგმა ჟ. ანკეტილიმ დაისაკუთრა. ეს მისი მეორე გამარჯვებაა „ჯირო დ' იტალიაში“. მეორე ადგილზე გამოვიდა იტალიელი ი. ძილიოლი. იგი გამარჯვებულს 1,22 წამით ჩამორჩა. ამ რბოლის გასული წლის ჩემპიონი ფ. ბალმამიონი მერვე ადგილზეა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

9 - 21
ივნისი
ქორწილ
ავსტრიის ბალეტი
„აის-რევიუს“ დარსების
25 წლისთავის აღსანიშნავი
საიუბილეო სპექტაკლი
2 ბანყოფილებად
„ოცნება ბედნიერებაზე“
დასაწყისი დღის 12 საათზე,
საღამოს 8 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეე 01239